

კვლევის ანგარიში



ახალგაზრდული
რეფლექსი

ახალგაზრდების დამოკიდებულების კვლევა
მართლმსაჯულების, სასამართლოს და
სამართალდამცავების მიმართ

თვისებრივი კვლევის ანგარიში
ვერსია: 1.0

მომზადებულია ორგანიზაცია “კავკასიის
ახალგაზრდული კავშირი-ს“ მიერ

კომპანია „ეისითის“ მხარდაჭერით
მაისი, 2017

თბილისი
2017

სარჩევი

1. შესავალი.....	3
2. ძირითადი მიგნებები	4
3. კვლევის დიზაინი.....	7
3.1 კვლევის მიზანი და ამოცანები	7
3.2 კვლევის მეთოდოლოგია	7
4. ანალიზი და ინტერპრეტაცია.....	8
4.1 ახალგაზრდის კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე მოქმედი ფაქტორები	8
4.2 ზოგადი ინფორმირებულობა სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ.....	9
4.3 ძალადობაზე მოქმედი ფაქტორების შეფასება.....	11
4.4 ახალგაზრდების დამოკიდებულება სამართალდამრღვევთა მომავლის მიმართ ..	16
4.5 სამართალდამცავებთან ურთიერთობა	18
4.6 სასამართლო.....	22
4.7 ახალგაზრდების პრობლემები.....	25

1. შესავალი

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს კვლევის ანგარიშს - ახალგაზრდების დამოკიდებულების კვლევა მართლმსაჯულების, სასამართლოს და სამართალდამცავების მიმართ. ანგარიში მომზადებულია ორგანიზაცია “კავკასიის ახალგაზრდული კავშირი“-ს მიერ, პროექტი ახალგაზრდული რეფლექსის ფარგლებში, კომპანია ეისითის მხარდაჭერით.

კვლევა ჩატარდა 2017 წელს, თებერვლიდან მაისის ჩათვლით. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა. თვისებრივი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების დანაშაულებრივ ქმედებებთან, სასამართლოსთან, პოლიციასთან დაკავშირებული ცნობიერების შესწავლა და ზოგადი ახალგაზრდული პრობლემების იდენტიფიცირება.

2. ძირითადი მიგნებები

- ❖ ახალგაზრდების დიდი ნაწილისთვის კანონდარღვევა/კანონსაწინააღმდეგო ქმედება დანაშაულთან და დაუმორჩილებლობასთან ასოცირდება.
- ❖ მოზარდების მიერ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, ახალგაზრდები ნაკლებად აღიქვამენ „დანაშაულად“ და უფრო უცოდინარობასა და დაუდევრობას უკავშირებენ.
- ❖ მონაწილეთა მოსაზრებით, ადამიანს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეს მას შემდეგ, რაც ის სრულწლოვანი ხდება.
- ❖ რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ დანაშაულის ჩადენისას უნდა ისჯებოდნენ როგორც მოზარდები, ისე მათი მშობლები და უნდა შეასრულონ საზოგადოებრივი საქმიანობა.
- ❖ მონაწილეები თანხმდებოდნენ იმაზე, რომ არსრულწლოვანი ბრალდებულისთვის თავისუფლების აღკვეცთა, უარყოფითად აისახება მის მომვალზე.
- ❖ ფოკუსური ჯგუფური დისკუსიის მონაწილეთა აღქმით, არასრულწლოვანი ახალგაზრდები, ძირითადად, ვერ აცნობიერებენ იმ შედეგს, რაც შესაძლოა მოყვეს მათ მიერ ჩადენილ ქცევას.
- ❖ ახალგაზრდებში გავრცელებული დანაშაულის ფორმებად დასახელდა: ქურდობა, ხულიგნობა, ქურჭური გარჩევები, აზარტული თამაშები, ცივი იარაღის ტარება, ოჯახური პრობლემები, ნარკოდანაშაული, ძალადობა, ბულინგი და ა.შ.
- ❖ ახალგაზრდების მიერ დანაშაულის ჩადენის ძირითად მოტივებად დასახელდა ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფონი: უმუშევრობა და მუშაობის შემთხვევაში სტუდენტებზე არამორგებელი გრაფიკები.
- ❖ ერთეულ შემთხვევებში, ახალგაზრდების მხრიდან კრიმინალური ქმედებების ჩადენის მიზეზად დასახელდა ე.წ. შავ სამყაროში სტატუსის მოპოვების სურვილი.
- ❖ დანაშაულებრივი ქმედების ერთ-ერთ მოტივად, რესპონდენტებმა, დაასახელეს მშობლების მხრიდან ახალგაზრდებისთვის გამოყოფილი ძალიან მცირე დრო.
- ❖ დანაშაულებრივ ქმედებაზე მოქმედ ერთ-ერთ ფაქტორად დასახელდა სტრესული სიტუაციები, მაგ სტუდენტების შემთხვევაში სწავლის გადასახადთან დაკავშირებული პრობლემები, სწავლის დამთავრების შემდეგ დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ.
- ❖ ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობის აღქმით, ახალგაზრდების კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე გავლენას ახდენს როგორც ოჯახი, ისე სამეგობრო წრე, თუმცა განსაკუთრებით გამოყოფენ ოჯახის გავლენას.
- ❖ ფოკუს ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდების ერთი ნაწილის აზრით, განათლება გავლენას არ ახდენს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე. თუმცა, მეორე ნაწილის აზრით, განათლების დაბალი დონე კანონსაწინააღმდეგო ქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია.
- ❖ რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდები, ხშირ შემთხვევაში „თავისნაირ“ ახალგაზრდებთან მეგობრობენ.
- ❖ დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდების აზრით, საქართველოში სასულიერო პირების ავტორიტეტი მაღალია - მათ მიმართ ნაკლებად რელიგიური ან, თუნდაც ქურდული მენტალიტეტის მქონე ახალგაზრდებიც დადებითად არიან განწყობილნი.
- ❖ რესპონდენტების უმრავლესობის აღქმით, ახალგაზრდებს, რომლებიც კანონსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადიან ახასიათებთ გარკვეული მავნე ჩვევები.

- ❖ დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ ქართული საზოგადოებისთვის დამახასიათებელია ძალადობის ფაქტის შემთხვევაში, მამაკაცის გამართლება და ქალის ქმედებებში ეჭვის შეტანა.
- ❖ ფოკუს ჯგუფის მონაწილეების შეხედულებები იმასთან დაკავშირებით თუ, როგორი იქნებოდა ციხეში გატარებული პერიოდის შემდეგ, ადამიანის შემდგომი ცხოვრება ძირითადად პესიმისტურია.
- ❖ კვლევის მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა, საუბრობდა სამართალდამცავების მხრიდან უხემ, არაადექვატურ დამოკიდებულებებზე, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, თავის წარდგენის გარეშე ქუჩაში გაჩერებით და სამართალდამცავთა მხრიდან უხემ მიმართვაში გამოიხატება.
- ❖ გამოკითხულ რესპონდენტთა მოსაზრებით, საკუთარ უფლებებში გათვითცნობიერების თვალსაზრისით, განათლების დონე დაბალია, როგორც სამართალდამცავებში, ისე ახალგაზრდებში, რომლებიც სამართალდამცავებს აძლევენ საშულებას გადააჭარბონ საკუთარ უფლებებს.
- ❖ რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები უმეტესად არიან უხემები, უნდობლობას იჩენენ ახალგაზრდების მიმართ და ყოველგვარი მიზეზის გარეშე აჩერებენ, ემუქრებიან და აყენებენ ფიზიკურ თუ სიტყვიერ შეურაცხყოფას.
- ❖ ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ძალიან მცირე ნაწილი საუბრობდა იმაზე, რომ პოლიციელები კანონის ფარგლებს არ სცდებიან.
- ❖ ფოკუს ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მათ უმეტესობას აქვს ნეგატიური განწყობა სამართალდამცავთა მიმართ, რაც თავად სამართალდამცავთა ქმედებებით არის გამოწვეული. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში, მიუხედავად იმისა, რომ საუბრობდნენ უხემ, აგრესიულ დამოკიდებულებაზე პოლიციელების მხრიდან, იქვე მიუთითებდნენ, რომ თავს დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობენ ქუჩაში გადაადგილებისას.
- ❖ კვლევის მონაწილე ახალგაზრდების თქმით, მათ არ აქვთ ინფორმაცია საკუთარ უფლებებზე, რაც პოლიციას აძლევს საშულებას გადააჭარბონ საკუთარ უფლებამოსილებას.
- ❖ დისკუსიის ის მონაწილეები, რომლებიც გარკვეულწილად ერკვევიან საკუთარ უფლებებში და პოლიციის მოვალეობებზეც ფლობენ ინფორმაციას აღნიშნავენ, რომ ამ ტიპის ინფორმაცია არაფორმალური განათლების საშუალებით მიიღეს.
- ❖ ფოკუს ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ საკუთარი უფლებების ცოდნა მათ ვერ დაეხმარება დაიცვან თავი, რადგან ამისთვის აუცილებელია იყვნენ გავლენიანი ადამიანების მფარველობის ქვეშ.
- ❖ კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების დიდი ნაწილი უნდობლობას უცხადებს სასამართლოს, რაც მათივე აღქმით, საკუთარ ან ახლობლების გამოცდილებაზე დაყრდნობით არის გამოწვეული ან მედია საშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა.
- ❖ რესპონდენტთა დიდი ნაწილი ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს მიუკერძოებლობის საკითხს.
- ❖ კვლევის მონაწილე ახალგაზრდების ვარაუდით, სასამართლო პოლიტიკოსების, მაღალჩინოსნების, თუ სხვა გავლენიანი პირების მიერ იმართება.
- ❖ რეგიონებში არსებული პრობლემებიდან ყველაზე მწვავედ პრობლემად უმუშევრობა შეფასდა.
- ❖ ახალგაზრდები ასევე საუბრობენ გასართობ-სარეკრეაციო ადგილების, კაფეების, პარკების, კინო-თეატრების და სხვა მსგავსი ადგილების ნაკლებობაზე.

- ❖ როგორც აღმოჩნდა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს რეგიონებში არსებული ინფორმაციული ვაკუუმი. ვაკანსიებისა თუ სხვადასხვა ახალგაზრდული აქტივობების შესახებ ინფორმაცია არ არის თანაბრად ხელმისაწვდომი ყველასათვის.
- ❖ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდები, მთავარ პრობლემად, ენობრივ ბარიერს ასახელებენ.
- ❖ კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონებში მწვავედ დგას შიდამიგრაციის პრობლემა. ახალგაზრდები ტოვებენ რეგიონს და საცხოვრებლად დიდ ქალაქებში გადადიან.

3. კვლევის დიზაინი

3.1 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, დედაქალაქში და საქართველოს ხუთ რეგიონში (სამცხე ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი და კახეთი) მცხოვრები ახალგაზრდების დამოკიდებულების კვლევა მართლმსაჯულების, სასამართლოს და სამართალდამცავების მიმართ.

კვლევის ამოცანები:

- ❖ მოზარდის კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე ზემომქმედი ფაქტორების შესწავლა;
- ❖ ახალგაზრდების სამართალდარღვევასთან / დანაშაულთან მიმართებაში ზოგადი ინფორმირებულობის შესწავლა;
- ❖ ახალგაზრდების სამართალდამცავი უწყებების მიმართ დამოკიდებულება;
- ❖ ახალგაზრდების სასამართლოს მიმართ დამოკიდებულება;
- ❖ ახალგაზრდების საჭიროებების იდენტიფიცირება;
- ❖ ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების იდენტიფიცირება;


3.2 კვლევის მეთოდოლოგია

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 12 ფოკუსური ჯგუფური დისკუსია. ფოკუსური ჯგუფები გაიმართა როგორც თბილისში, (2 ფოკუს ჯგუფი) ისე ახალქალაქში (1 ფოკუს ჯგუფი), წნორში (1 ფოკუს ჯგუფი), მარნეულში (1 ფოკუს ჯგუფი), ხაშურში (1 ფოკუს ჯგუფი), თეთრიწყაროში (1 ფოკუს ჯგუფი), ახალციხეში (1 ფოკუს ჯგუფი), საგარეჯოში (1 ფოკუს ჯგუფი), ყაზბეგში (1 ფოკუს ჯგუფი), გორში (1 ფოკუს ჯგუფი) და რუსთავში (1 ფოკუს ჯგუფი). ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობდნენ 17-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი ახალგაზრდები.

ფოკუსური ჯგუფური დისკუსიები გაიმართა 23 თებერვლიდან - 13 აპრილის ჩათვლით.

კვლევის დიზაინი	
ტიქნა	დისკუსია ფოკუს ჯგუფში
სამიზნე ჯგუფი	17-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი ახალგაზრდები
შერჩევის ზომა	12 ფოკუს ჯგუფი
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი შერჩევა

კვლევის არეალი	თბილისი (2), ახალქალაქი (1), წნორი (1), მარნეული (1), ხაშური (1), თეთრიწყარო (1), ახალციხე (1), საგარეჯო (1), ყაზბეგი (1), გორი (1) და რუსთავი (1).
ხანგრძლივობა	1.5 – 2 საათი



4. ანალიზი და ინტერპრეტაცია

4.1 მოზარდის კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე მომქმედი ფაქტორები

კვლევის ფარგლებში, თავისუფალი ასოციაციის მეთოდის გამოყენებით, ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ახალგაზრდების მიერ, გამოვლინდა მოზარდთა დამოკიდებულებები კანონსაწინააღმდეგო ქმედებასა და დანაშაულთან მიმართებაში. ახალგაზრდების დიდი ნაწილისთვის კანონდარღვევა/კანონსაწინააღმდეგო ქმედება დანაშაულთან და დაუმორჩილებლობასთან ასოცირდება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულს მოზარდებში ნაკლებად აღიქვამენ „დანაშაულად“ და უფრო უცოდინარობასა და დაუდევრობას უკავშირებენ. პირველ შემთხვევაში, რესპონდენტები მკაცრად აკრიტიკებენ კანონდამრღვევებს და თვლიან, რომ ნემისმიერი კანონსაწინააღმდეგო ქმედება უნდა ისჯებოდეს შესაბამისად. მეორე შემთხვევაში კი, როდესაც საქმე მოზარდებს ეხებათ, რესპონდენტები შედარებით ლმობიერები არიან და კანონდამრღვევი მოზარდების მიმართ სიბრალულის გრძნობა უჩნდებათ:

„როდესაც ის წესი ირღვევა რომელიც დაკანონებულია საზოგადოებისათვის, რომ მოაწესრიგოს რაღაც სისტემა და ანუ ეს წესი ირღვევა უარყოფითი დამოკიდებულება იქნება, რა თქმა უნდა, ამის მიმართ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი წნორიდან)

„ზოგადად, კანონები შექმნილია იმისათვის, რომ ყველამ ვიცხოვროთ სწორად, რაც სხვას ან ჩვენ დაგვაზიანებს ანუ კანონისდარღვევა ნიშნავს კანონის წინააღმდეგ წასვლას, ისეთი რამის გაკეთება, რომელიც გავნებს როგორც ჩვენ ასევე სხვას.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალქალაქიდან)

„მოზარდებში უფრო არ არის ეს კანონდარღვევა. თუ დაირღვევა, რა თქმა უნდა ვბრაზდები და შეიძლება სიბრალოლის გრძნობაც გაგიჩნდეს რა. დაღუპულია უკვე ის კაცი.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ყაზბეგიდან)

„პირველ რიგში ეს არის გაუთვინობიერებელი ქმედება. მოზარდებმა არ იციან და არც მოეთხოვებათ იცოდნენ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

4.2 ზოგადი ინფორმირებულობა სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუსური ჯგუფური დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდებმა, იმსჯელეს საკითხზე, თუ რა ასაკიდან ეკისრებათ ადამიანებს სისხლის სამართლებრივი პასუხსმგებლობა. მონაწილეთა დიდი ნაწილი აღნიშნავდა, რომ ადამიანს სისხლისსამართლებრივი პასუხსმგებლობა უნდა ეკისრებოდეს მას შემდეგ რაც ის სრულწლოვანი ხდება. თუმცა, ასევე საკმაოდ დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ ბიოლოგიურ ასაკზე მნიშვნელოვანი გონებრივი მზაობა და საკუთარი ქმედებების გაცნობიერების უნარია.

„18 წლიდან. სრულწლოვანია და იმიტომ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი საგარეჯოდან)

„ჩემი აზრით სრულწლოვანმა უნდა აგოს პასუხი, იმიტომ, რომ 16-17 წლის ასაკი გარდატეხის პერიოდია და ადამიანმა შეიძლება ვერ გაცნობიეროს რას აკეთებს და ისეთი მძიმე სასჯელი არ უნდა ქონდეს, როგორც მაგალითად 20- 25 წლის ასაკში.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი წნორიდან)

„კანონში რა წერია კონკრეტულად ვერ ვიტყვი მაგრამ, ჩემი აზრით, უნდა აგოს პასუხი დანაშაულისთვის იმ ასაკიდან, როცა აქვს გონებრივად ყველაფერი გაცნობიერებული. ასაკი ინდივიდუალურია.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

ჯგუფური დისკუსიის მსვლელობისას, რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ სრულწლოვანობამდე დანაშაულის ჩადენისას უნდა ისჯებოდნენ როგორც მოზარდები, ისე მშობლები და კანონის ძალით უნდა შეასრულონ მათ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობა. ასევე, მონაწილეები თანხმდებოდნენ იმაზე, რომ არსრულწლოვანი ბრალდებულისთვის თავისუფლების აღკვეთა, უარყოფითად აისახება მის მომავალზე. თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტთა ნაწილის მოსაზრებით, არის შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვნებიც აცნობიერებენ იმას, რომ მათი ქმედება არის დანაშაული, მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათობას წარმოადგენს.

ფოკუსური ჯგუფური დისკუსიის მონაწილეთა აღქმით, როდესაც არასრულწლოვანი ახალგაზრდები დანაშაულს ჩადენისას, ვერ აცნობიერებენ შედეგს, რა შეიძლება მოყვეს მათ ქმედებას. აღნიშნულის მიზეზადაც მონაწილეებმა განათლების, ცნობიერების დაბალი დონე დაასახელეს. ერთ-ერთმა მონაწილემ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტიდან აღნიშნა, რომ ოჯახმა უნდა აუხსნას ბავშვს, თუ რატომ არ შეიძლება ამა თუ იმ ქმედების ჩადენა, რომ ქურდობა ეს არის დანაშაული და მისი ჩადენა არ შეიძლება კანონის მიხედვით და „არა იმიტომ რომ მშობლებმა, საზოგადოებამ გითხრა.“

„შეიძლება ძალიან ბევრი ვერ აცნობიერებს მანამდე სანამ ჩადენს იმიტომ, რომ არ ვიცით კანონი. ოჯახში გვეუბნებიან არ მოიპარო, მაგრამ არ ვიცით, რომ მოპარვა არის დანაშაული. რომ ძალადობა, დარტყმა არის დანაშაული არ გავქვს ინფორმაცია თუ არ სწავლობ არ ახსენეს ტრენინგზე ან სკოლაში არ გაქვს ინფორმაცია. ბავშვობაში მშობლები მეუბნებოდნენ არ მოიპარო, თორემ ხელებს მოგაჭრი იმას კი არ მეუბნებოდნენ კანონმდებლობაში არის და რაღაცა. ცნობიერების დონე არ არის იქამდე, რომ კანონით არის აკრძალული და არა იმიტომ რომ მშობლებმა, საზოგადოებამ გითხრა.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თეთრიწყაროდან)

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა, დისკუსიის მიმდინარეობისას, ასევე ისაუბრეს ახალგაზრდებში გავრცელებულ დანაშაულებრივ ქმედებებსა და მათ მიზეზებზე. კვლევის ეს პუნქტი უნივერსალურია ყველა ფოკუს ჯგუფისთვის, რადგან ოთხივე რეგიონში დისკუსიის მონაწილეების მიერ დასახელებულ იქნა დანაშაულის იდენტური ფორმები და მიზეზები. რაც შეეხება სამართადამცავებთან ურთიერთობების შეფასებას, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტები თამამად და გულწრფელად საუბრობდნენ არსებულ პრობლემებსა და განწყობებზე.

ახალგაზრდებში გავრცელებული დანაშაულის ფორმებად დასახელდა:

- ❖ ქურდობა
- ❖ ხულიგნობა
- ❖ ქუჩური გარჩევები
- ❖ აზარტული თამაშები
- ❖ ცივი იარაღის ტარება
- ❖ ოჯახური პრობლემები
- ❖ ნარკოდანაშაული
- ❖ ძალადობა
- ❖ ბულინგი

ახალგაზრდების მიერ დანაშაულის ჩადენის ძირითად მოტივებად დასახელდა ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფონი: უმუშევრობა, დასაქმების შემთხვევაში სტუდენტებისთვის არამორგებელი სამუშაო განრიგი.

ერთეულ შემთხვევებში, ახალგაზრდების მხრიდან კრიმინალური ქმედებების ჩადენის მიზეზად დასახელდა ე.წ. შავ სამყაროში სტატუსის მოპოვების სურვილი. ასევე დანაშაულებრივი ქმედების ერთ-ერთ მოტივად, რესპონდენტებმა, დაასახელეს მშობლების

მხირდან ახალგაზრდებისადმი გამოყოფილი ძალიან მცირე დრო და სოციუმი, სადაც მათ უწევთ ცხოვრება. ასევე, დასახელდა ფინანსური პრობლემებით გამოწვეული სტრესული სიტუაციები, მაგ სტუდენტების შემთხვევაში სწავლის გადასახადთან დაკავშირებული პრობლემები, სწავლის დამთავრების შემდეგ სამსახურის შოვნასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ.

„მატერიალური მდგომარეობა ძალიან დიდ როლს თამაშობს და არამატრო ახალგაზრდის ცხოვრებაში, არამედ ადამიანის ცხოვრებაში და მოზარდის ცხოვრებაში უფრო მეტად ჩანს ეს ყველაფერი.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

„ყველაზე მთავარი, ფინანსური ფაქტორები ჩვენთან რეგიონში მითუმეტეს. მოქმედებს მშობლებზე და ვერ აკონტროლებენ რაღაცებს და გადადის შვილებზე.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

„ძალიან ბევრი მიზეზი. ოჯახიდან, საზოგადოებიდან ამოდის. მე მაგალითად ძალიან ბევრჯერ დამაკლდა ყურადღება მშობლების მხრიდან და არა მარტო. ზოგადად, აგრესიული და ნერვიულები ვართ სულ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თეთრიწყაროდან)

„ჩემი აზრით, აუცილებლად მომდინარეობს სოციუმიდან, რა გარემოშიც მეგობრობს ახლობობს ეს არის არის ერთერთი მთავარი ფაქტორი, რის გამოც მან შეიძლება ჩაიდინოს დანაშაული.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

„ჩემი აზრით მშობლების გავლენა და როლიც დიდია. 18 წლამდე ასაკის პირების ქმედებებთან იმიტომ რომ დილიდ 9-დან საღამო 9-მდე თითქმის ყველაგან დედაც და მამაც გასულია სახლიდან და ნაკლებ დროს უთმობენ თავიანთ შვილებს.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

„სწორად ვერ აცნობიერებენ. ყველაფერს ვერ ითვალისწინებენ. ვერც ხვდებიან რა შეიძლება ამან გამოიწვიოს. პასუხს ვინ აგებს მაგ დანაშაულზე მაგას ვერ აცნობიერებენ. ან ფიქრობენ, რომ გამოძვრებიან.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

„ხო და ეგ სურვილები და მიდრეკილებები, სუსტი ნებისყოფა ხომ სტრესის ქვეშ ყალიბდება. რატო გაქვს სუსტი ნებისყოფა?- რაღაცას ვეღარ უძლებ, აღარ შეგიძლია. ანუ ბულინგი, ზეგავლენა, სტრესი. სამსახური აიღე თუნდაც, ყველაფრიდან სტრესია, ზედმეტი გადატვირთვა და ეს ნარკოტიკები ცოტახნით გაცლა არის ამ ყველაფრისან.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

4.3 ძალადობაზე მოქმედი ფაქტორების შეფასება

კვლევის ფარგლებში, პროექციული ტექნიკის გამოყენებით - მოზარდის ფსიქოტიპის, მისი გარემოს ხატის შექმნის მიზნით, შესწავლილ იქნა მოზარდის კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე მოქმედი ფაქტორები. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები გაეცნენ ქეისებს, რომლებიც ეხებოდა ახალგაზრდების დანაშაულებრივ ქცევას.

კვლევის ფარგლებში ახალგაზრდებს ორი ქეისი დაურიგდათ:

I. ქეისი

22 წლის ირაკლიმ, მალაზიის გამყიდველს გასტაცა ფულადი თანხა 300 ლარის ოდენობით, მის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი და დამნაშავედ იქნა ცნობილი ძარცვისთვის, რისთვისაც სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ირაკლიმ სასჯელის მოხდა დაასრულა და სასჯელადსრულების დაწესებულება დატოვა 2016წლის ოქტომბერში.

II. ქეისი

ახალგაზრდა მამაკაცმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა თავის მეუღლეს. სასამართლომ მის მიმართ ძალადობის ჩადენის ფაქტზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და დამნაშავედ ცნო. სასჯელად შეეფარდა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მან სასჯელადსრულების დაწესებულება 2016წელს დატოვა.

ჯგუფური დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდებმა, ქეისებზე დაყრდნობით მიმოიხილეს ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მოზარდის კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე, იმსჯელებს ახალგაზრდების მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივებზე, ოჯახზე და გარემოზე, ინტერესებზე და ა.შ.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობის აღქმით, ახალგაზრდების კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე გავლენას ახდენს როგორც ოჯახი, ისე სამეგობრო წრე, თუმცა განსაკუთრებით გამოყოფენ ოჯახის გავლენას. ფოკუსური ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, „ქუჩაში ნანახი“ ნაკლებად სავარაუდოა გახდეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე, ძალადობაზე მოქმედი ფაქტორი. ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების აღქმით, პიროვნების ქცევის ფორმირებას ხელს უწყობს ოჯახი და პიროვნებისათვის მისი ოჯახის წევრების ქცევა ხდება ერთგვარი ბიძგის მიმცემი მომავალში, ამა თუ იმ ქმედების განხორციელებისა - ადამიანი, რომელიც ოჯახური ძალადობის მონაწილეა და მთელი ბავშვობა უყურებს თუ როგორ ძალადობს მამა დედაზე, კვლევის მონაწილე ახალგაზრდების მოსაზრებით, თავადაც პოტენციური მომალაღე ხდება:

„ჩემთვის რთული წარმოსადგენია, რომ ვიღაცა ვიღაცაზე ძალადობდეს მარტო იმიტომ, რომ სიტყვაზე ქუჩიდან ხედავდეს რაღაცას. ოჯახიდან იწყება ალბათ პრობლემა, იმიტომ, რომ ხედავდა ამ ძალადობას მთელი ცხოვრების განმავლობაში.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალციხიდან)

„ჩემი აზრით, ეს ბიჭი მაგალითს იღებს თავისი მშობლებისგან. შეიძლება ითქვას, რომ მოძალადეა და ბავშობიდან უყურებს ამას. ჩემი წარმოდგენით, როცა კაცი ქალზე ხელს წევს არა ერთხელ გაუკეთებია და შეუძლია კიდევ ბევრჯერ გააკეთოს. ბევრი რამე მოდის ასოციაციაში, მაგრამ პირველ რიგში შეიძლება მამაც სცემდა დედას“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ხაშურიდან).

ამასთანავე, კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე საუბრისას, ფოკუსური ჯგუფური

დისკუსიის ფარგლებში, რესპონდენტებმა დაასახელეს ისეთი ფაქტორები, როგორცაა ეკონომიკური სიდუხჭირე, უმუშევრობა, თვითრეალიზაციის პრობლემა და ა.შ. რესპონდენტთა მოსაზრებით, არარეალიზებული და დაუსაქმებელი ახალგაზრდას აწუხებს არასრულფასოვნების კომპლექსი, განიცდის საკუთარ მდგომარეობას და მეტად მოწყვლადია აგრესიის წარმოშობის და გამოვლენის თვალსაზრისით. აგრესია კი, როგორც თავდაცვის ერთგვარი მექანიზმი, განაპირობებს პიროვნების მხრიდან ძალადობრივი ქმედების განხორციელებას.

„იცით, ღარიბი და უმუშევარი ადამიანები ძირითად დროს სახლში ატარებენ და ძირითადად სულ დამაბულები არიან, სულ ნერვიულობენ და შესაბამისად, ნერვიულობა იწვევს ყველაფერს, რაც ემართებათ. პოტენციური მოძალადეები არიან ასეთები, უსაქმურები“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან).

„ჩემი აზრით, ამ ბიჭს სოციალური პრობლემების გამო, ძირითადად ეკონომიკურს ვგულისხმობ, აგრესია აქვს დაგროვილი და ეს არის თავდაცვის მექანიზმი. სავარაუდოდ, უნდა რომ საქმიანობდეს, მაგრამ არ გამოსდის“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალციხიდან)

„მე მგონია, ზოგადად, რომ შეურაცხყოფა, ძალადობა მოდის არასრულფასოვნების კომპლექსიდან და ის, რომ ადამიანები არ არიან ბოლომდე რეალიზებულნი, არ იციან რა უნდა ცხოვრებაში“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ხაშურიდან)

„ოჯახური ძალადობა მომდინარეობს როცა ოჯახში არის ეკონომიკური და სოციალური პრობლემები. მე ვფიქრობ, ეს ადამიანი არის მარტო, რაღაც ნაქირავებში, რომელსაც აქვს ძალიან ბევრი ვალდებულება სხვადასვა ორგანიზაციებთან და ძალიან ბევრი პრობლემები, თუნდაც თამაშობს და დიდ პრობლემებს იქმნის.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი მარნეულიდან)

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ახალგაზრდების მოსაზრებები ორად იყოფა განათლების, როგორც კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე გავლენის მომხდენი ფაქტორის შესახებ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდების ერთი ნაწილის აზრით, განათლება გავლენას არ ახდენს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე. აღნიშნული მოსაზრების განსამტკიცებლად, რესპონდენტებს მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდანაც მოჰყავთ - მათი მტკიცებით, ისინი იცნობენ ბევრ განათლებულ და ნაკითხ ადამიანს, რომლებსაც მიუხედავად მათი დონისა, განუხორციელებიათ ძალადობრივი ქმედება. ამასთანავე, რესპონდენტების ცალკეული ნაწილის მოსაზრებით, ძალადობა ადამიანის პიროვნული ნიშანია, რომლის დათრგუნვასაც ზოგი ახერხებს, ზოგი ვერა. ამის საპირისპიროდ, ფოკუს ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდების მეორე ნაწილის აზრით, განათლების დაბალი დონე კანონსაწინააღმდეგო ქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ახალგაზრდების აზრით, განათლება ხელს უწყობს ცნობიერების დონის ამაღლებასა და ძალადობის დათრგუნვას. შესაბამისად, ოჯახში, სადაც განათლების დონე დაბალია ცნობიერების დონეც დაბალია, ძალადობრივი ქმედების განხორციელების შანსი კი - მაღალი:

„ნაკითხი და სკოლაში კარგად სწავლობს სულაც არ ნიშნავს რომ ძალადობამდე არ მივა. მაგალითების უმეტესობა, რომელიც ვიცი ძალიან ნაკითხი და ძალიან განათლებული ადამიანები არიან.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

„ხშირად, როდესაც მამაკაცი ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს ქალს ეს გამომდინარეობს მისი შეგნების დაბალი დონით. ანუ მას იმდენი შეგნება არ აქვს, რომ მსაგავსი ფაქტი არ გააკეთოს ხო. ჯერ ეს ერთი და მეორე, რომ ეს ადამიანი თუ ესეთია და ჩანს რომ ესეთია, მაშინ ეს ადამიანი გაიზრდებოდა ისეთ ოჯახში, სადაც განათლების დონე დაბალია და მისი ოჯახის წევრებიც ყურადღებას არ აქცევენ განათლებას, არ აძლევენ და ვერ აძლევენ ან ხედავდა ეს ბავშვი რომ დედას მამა შეურაცხყოფას აყენებდა და იგივე პრობლემები ჰქონდა ოჯახში.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თეთრიწყაროდან)

„მე ვეთანხმები რომ პიროვნული ნიშნიდან უფრო არის გამოწვეული ძალადობა და განათლება სხვა რაღაცეები არაფერ შუაშია. ძალადობის გამოხატულება და აგრესია არის ზოგიერთი ადამიანის პიროვნული ნიშანი. ზოგიერთ ადამიანს შეუძლია დათუნოს და ზოგიერთს არა. განათლება არაფერ შუაშია, შეიძლება იაზრებდე მაგრამ შენი პიროვნული იმით ვერ დათრგუნო.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ხაშურიდან)

„შეიძლება ოჯახში პატარაობის დროს ძალადობის გამო ფსიქოლოგიური რაღაც პრობლემები შეექმნა, მაგრამ ეს ყველაზე მეტად განათლების პრობლემაა ოჯახში, შეიძლება იყოს ძალადობა, მარა ეს როცა იზრდება შეუძლია თქვას მე ძალადობას არ გამოვიყენებ მეუღლის მიმართ, ოჯახის მიმართ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი მარნეულიდან)

საინტერესოა ფოკუს ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდების მოსაზრებები სამეგობრო წრესთან დაკავშირებით. მათი აღქმით, კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდების უმრავლესობა კრიმინალური წარსულის მქონე ახალგაზრდებთან ატარებს დროს და ცდილობენ ნაკლები კონტაქტი ჰქონდეთ მათთან, ვისთვისაც მათი ქცევა მიუღებელია.

„მე ვფიქრობ რომ მეგობრების წრე ეყოლება თავისნაირი, არ მოგეწონება მეგობრად ის ადამიანი რომელიც ყოველდღე შენ ცუდ ნაკლზე მიგითითებს, მე არ მომეწონებოდა მაგალითად, და შესაბამისად მისი სამეგობრო წრეც იქნება მოძალადე.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მონაწილეთა აზრით, ახალგაზრდა ადამიანისთვის, რომელიც კანონსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადის, ავტორიტეტი შეიძლება იყოს ოჯახის რომელიმე წევრი, ახლო მეგობარი, სასულიერო პირი ან საკუთარი თავი. დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდების აზრით, საქართველოში სასულიერო პირების ავტორიტეტი მაღალია - მათ მიმართ დადებითად არიან განწყობილნი ნაკლებად რელიგიური ან თუნდაც ქურდული მენტალიტეტის მქონე ახალგაზრდებიც. გარდა ამისა, ახალგაზრდების აზრით, ადამიანებისათვის, რომლებიც კანონსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადიან ავტორიტეტი შეიძლება საკუთარი თავიც იყოს, რადგან ისინი ყველაფერზე წინ საკუთარ თავს აყენებენ.

„ეგეთი ადამიანების ავტორიტეტი, პირველ რიგში არის საკუთარი თავი, ანუ მე ვარ და ჩემი ნაზადიო და მაგიტომაც ჩადის ეგეთ საქციელს.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალციხიდან)

„ალბათ, უფრო თავისნაირი ადამიანი იმიტომ რომ როცა ვიღაც მოგწონს ცდილობ რომ დაემსგავსო

იმას და გამომდინარე აქედან, შეიძლება ასე ვიფიქროთ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი საგარეჯოდან)

„ზოგადად საქართველოში სასულიერო პირებს აქვთ წონა, შეიძლება საერთოდ არ იყოს ეს ადამიანი მორწმუნეც, მოძველებიჭო ელემენტიც იყოს, მარა სასულიერო პირი მაინც ისეთია რომ პატივისცემის გრძნობა აქვს და მოისმენს მაინც, მეეჭვება რომ ოჯახის წევრი იყოს ვინმე ვის სიტყვასაც ძალა აქვს.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

„მშობლების და მეგობრების სიტყვას გაითვალისწინებს რაღაც დონეზე, მაგრამ თავის სიტყვაზე წინ არ დააყენებს.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ყაზბეგიდან)

რაც შეეხება პიროვნულ თვისებებს, ხასიათსა და მავნე ჩვევებს, ფოკუს ჯგუფის მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობის აღქმით, კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდები, ხასიათებიან გარკვეული მავნე ჩვევებით: თავისუფალ დროს ატარებენ ე.წ „ბირჟაზე“, გამოირჩევიან აგრესიულობით, სუსტი ფსიქიკით, პესიმისტური ბუნებით, არიან იმპულსურები, ალკოჰოლის, თამბაქოს, ნარკოტიკის მომხმარებლები და აზარტული თამაშების მოყვარულნი.

„დანაშაული რომ ჩაიდინოს რაღაც პირობები ხო უნდა შეასრულოს თავის გონებაში და ფსიქოლოგიაში, ან უდნა იყოს ლოთი, ან ნარკომანი ან ალკოჰოლიკი, რაღაც ესეთი ამდაგვარი, რომელიღაცა აუცილებლად იქნებოდა, ახლა ეს, რომ კარგი ცხოვრება არ ექნებოდა, ბედნიერი და წამოწოლილი წიგნებს არ კითხულობდა, ან ექნებოდა ოჯახური პრობლემები და თავისუფალ დროს ან აზარტულ თამაშების თამაში ატარებდა, ან სასმელს იღებდა და ყველაზე მაქსიმუმ ქუჩაში იდგა.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი წნორიდან)

„თვისებებზე გამახსენდა, შეიძლება პესიმისტური ბუნების იყოს, ჰგონია რომ არ გამოუვა რაღაცეები და არ აკეთებს, არ ივითარებს თავის თავს.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მონაწილეები, კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა მიუთითებენ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე, სტრესზე, აფექტურ მდგომარეობაზე, ალკოჰოლისა და ნარკოტიკის მოხმარებაზე, როგორც დანაშაულის ჩადენის მაპროვოცირებელ ფაქტორებზე. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ახალგაზრდების აზრით, სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანს, არ აქვს საკმარისი შესაძლებლობა მიიღოს სათანადო განათლება, უზრუნველყოს საკუთარი საჭიროებები, ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ ხელს უწყობს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას. გარდა ამისა, ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მოსაზრებით, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები, ისევე როგორც აფექტურ მდგომარეობაში მყოფნი, თავს ვერ აკონტროლებენ და ძალადობრივ ქმედებას კონკრეტული მიზეზის გარეშე ახორციელებენ.

„ძირითადად ნასვამი ადამიანი, რომელიც თავს ვერ აკონტროლებს, იმან შეიძლება ჩაიდინოს ესეთი რაღაც. ზოგი სიყვარულსაც ძალადობით გამოხატავს.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

„აფექტის მდგომარეობაში ისეთი რაღაცის გაკეთება შეიძლება, რასაც ვერ გაიაზრებ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

„ჩემი აზრით, ცხოვრობდა ეს ადამიანი ღარიბულად, არ ჰქონდა მას შესაძლებლობები, არ აქვს მას სათანადო განათლება და მისი ოჯახის წევრები იქნებოდნენ ამავდროულად უსაქმურები, რადგან არ აქვს მას შესაძლებლობები და ანუ ამ ყველაფერში არაა დამნაშავე მარტო ეს ადამიანი, არიან დამნაშავეები ის ადამიანებიც რომლებმაც მას არ შეუწყეს ხელი მაგალითად განათლების მიღებაში, ან რაიმე პროფესიის მიღებაში, რომ მას ეს დანაშაული არ ჩაედინა.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი წნორიდან)

„ბევრი რაღაცის დაშვება შეიძლება, თუნდაც ღალატის, თუნდაც ის, რომ ეს მთვრალი იყო და სრულიად უმიზეზოდ... ან შეიძლება არ იყო მთვრალი და ცუდ ხასიათზე იყო. ნებისმიერი რამე შეიძლება იყოს ამის გამომწვევი.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ყაზბეგიდან)

ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მონაწილეთა მოსაზრებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალგაზრდების მიერ კანონსაწინააღმდეგო ქცევის განხორციელების მოტივს წარმოადგენს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი და მისგან გამოწვეული პრობლემები - სიღარიბე, უმუშევრობა, თვითრეალიზაციის საშუალების არ არსებობა, სტრესი, ალკოჰოლისა და ნარკოტიკის მოხმარება, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება და ა.შ.

4.4 ახალგაზრდების დამოკიდებულება სამართალდამრღვევთა მომავლის მიმართ

თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტებმა, ფოკუსური დისკუსიის მიმდინარეობისას, ჰიპოთეტურად ისაუბრეს ქეისებში განხილული სუბიექტების მომავლის შესახებ და გაანალიზეს ასევე მისი დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ.

დისკუსიაში ჩართული მონაწილეების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სუბიექტმა, რომელმაც იძალადა მეუღლეზე, არ ინანებდა საკუთარ ქმედებას და შეიძლება სასჯელ-აღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ, დაგროვებული აგრესიის გამო, კვლავ განეხორციელებინა ძალადობრივი ქმედება. სინანულის არ არსებობის ერთ-ერთი მიზეზი, რესპონდენტთა მოსაზრებით, ასევე შეიძლება იყოს ყოფილიყო ისიც, რომ აღნიშნული ქმედება მან აფექტურ მდგომარეობაში ჩაიდინა, გაუაზრებლად და მსგავსი ინციდენტის განმეორების შემთხვევაში დიდი ალბათობით მისი ქცევაც იდენტური იქნება.

„შეიძლება არ ინანოს და უარესი აგრესია გაუჩნდეს იმ ადამიანის მიმართ, ვის გამოც მოხვდა ციხეში.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალციხიდან)

„ამ დანაშაულის გამეორების საშიშროება ყოველთვის არსებობს, როდესაც მეუღლის მიმართ ცოლზეა ძალადობის შემთხვევა. ჩემი აზრით ასეა, იმიტომ, რომ ასეთი ადამიანები ზოგადად არ იკურნებიან.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი საგარეჯოდან)

„არ ნანობს. იმდენად გაუზრებლად გააკეთა ეს ყველაფერი რომ ვერ იაზრებს რა გააკეთა უფრო აგრესიულად ხდება და გრძელვადიან მომვალს ვერ ხედავს რა იქნება მომვალში, მავნე ჩვევებსაც

აგრძელებს და იმ დანაშაულებებსაც.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

რაც შეეხება მომავლის მიმართ დამოკიდებულებას, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ქეისის მონაწილე სუბიექტი, დიდი ალბათობით, პესიმისტურად იქნებოდა განწყობილი მომავლის მიმართ. აღნიშნული მოსაზრების ერთ-ერთ არგუმენტს წარმოადგენს ისიც, რომ საზოგადოება, ხშირ შემთხვევაში, ახდენს ნასამართლევი მოქალაქეების მოძალადედ რეგლამენტაციას, რის გამოც ზოგიერთ შემთხვევაში, ხდება პიროვნების მარგინალიზაცია და ის ასოციალური ხდება. რაც შეეხება ოჯახურ ძალადობას, დისკუსიის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ ქართული საზოგადოებისთვის დამახასიათებელია ძალადობის ფაქტის შემთხვევაში, მამაკაცის გამართლება და ქალის ქმედებებში ეჭვის შეტანა. მსგავს შემთხვევებში, მოძალადე მამაკაცები ჩვეულებრივ აგრძელებენ საზოგადოებრივ ცხოვრებას და საზოგადოებაც მათ მიმართ ლოიალურია.

„თუ გამართლებს თავის საქციელს საზოგადოებაში უკეთ იცხოვრებს თუ ვერ გამართლებს ოფიციალური მოძალადე ხდება.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ხაშურიდან)

„ჩვენი წარმოდგენა ისეთია რომ ციხეში როცა ხდება ადამიანი შაბლონად რჩება და ალბათ პესიმისტურად იქნებოდა განწყობილი.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ხაშურიდან)

„ძირითადად, ძალადობის გამომწვევი ფაქტორი რა არის? – სტრესია, ხო? სტრესი შეიძლება იყოს ბავშვობიდან მოყოლებული, შეიძლება გარკვეული პერიოდი უწევდეს სტრესულ გარემოში ყოფნა და მოძალადე გახდეს. ამ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა იყოს ფსიქოლოგიური კომპონენტი გათვალისწინებული, რა საქართველოში საერთოდ არაპოპულარულია და საერთოდ გონიათ, რომ ფსიქოლოგი თუ სჭირდება ვინმეს, ის აუცილებლად გიჟია.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი საგარეჯოდან)

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, როდესაც ფოკუს ჯგუფის მონაწილეები საუბრობდნენ ქეისებში განხილული ადამიანების მომავალზე, მათ განიხილეს სასჯელადსრულების დაწესებულებაში დღეს-დღეობით არსებულ მდგომარეობა, რომელიც იქ მყოფ პიროვნებას პესიმიზმისკენ უბიძგებს და მომავლის მიმართ უიმედოდ განაწყობს.

„თან თუ გავითვალისწინებთ იმ მდგომარეობას, რაც ჩვენს ციხეებშია, არამგონია რომ ეს ადამიანი გამოსწორდეს. ვგულსხმობ იმ კადრებს, რომელიც გავრცელდა და იმ ფაქტებს, რომელიც მე მსმენია. ძალადობა ხდება როგორც ციხის ადმინისტრაციის მხრიდან დამნაშავეების მიმართ, ასევე შიდა დაპირისპირება ერთმანეთში. ამიტომ, არ მგონია, რომ იმ სტრესს, რომელიც აქ ჰქონდა არ დაემატება ის სტრესი. ამიტომ, სასჯელის მოხდის შემდეგ უფრო აუცილებელია რეაბილიტაცია.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი საგარეჯოდან)

„თავზეხელაღებულია.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

„თავის მომავალს ხედავს, თავის მარტოობას. ამ ყველაფრის მერე არც მეუღლე ეყოლება, არც შვილი... საქართველოში ჭორი უცებ გავარდება, რომ ამას ეს გააკეთა და არამგონია მერე ამასთან

ვინმემ საქმე დაიჭიროს ან ოჯახი შექმნას.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

„ვფიქრობ, დღევანდელი ცხოვრებით ცხოვრობს. არ ფიქრობს მომავალზე.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

„შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს, შეიძლება უარესობისკენ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ხაშურიდან)

„შეიძლება ინანა უფრო კარგად რატომ არ ვცემო და მეორე რიგში ამ ადამიანს მომავალი არ აქვს. იმ ხალხს რომელიც იჯდა ციხეში არ აქვს ციხეში. მე გაგონილი მაქვს რომ საქართველოში ადამიანს რომელიც იჯდა ციხეში არანაირი საბუთები არ აქვს ვერსად ვერ დაიწყებს სამსახურს.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების შეხედულებები იმისთან დაკავშირებით თუ, როგორი იქნებოდა ციხეში გატარებული პერიოდის შემდეგ, ადამიანის ცხოვრება ძირითადად პესიმიზტურია, თუმცა რამოდენიმე ფოკუს ჯგუფზე ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ ადამიანები ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს ხშირ შემთხვევაში ნანობენ და სინანულის გრძნობა მათი ფასეულობების მოდიფიცირებას იწვევს - ციხეში გატარებული პერიოდი შეიძლება მათვის სტიმულის და ახალი ცხოვრების დაწყების სურვილის მომცემი გახდეს.

„ჩემი მეზობელი გამოვიდა და ისეთი მოტივირებული. საოცრებებს აკეთებს პიროვნებას გააჩნია და თან მან გაცილებით საშინელი საქციელი ჩადინა. უარესი დ უფრო დიდი ხნით ჩასვევს და უფრო დიდი მოტივით გამოვიდა და ძალიან კარგი გახდა.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

4.5 სამართალდამცავებთან ურთიერთობა

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამართული ფოკუსური ჯგუფური დისკუსიის მიმდინარეობისას, მონაწილეებმა ისაუბრეს სამართალდამცავების დამოკიდებულებაზე ახალგაზრდების მიმართ. კვლევის მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა, საუბრობდა უხემ მოპყრობაზე, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, თავის წარდგენის გარეშე ქუჩაში გაჩერებაში და სამართალდამცავთა მხირდან უხემ მიმართვაში გამოიხატება. გამოკითხული ახალგაზრდების მოსაზრებით, სამართალდამცავთა ნაწილი „აკეთებს იმას, რასაც თვითონ გვიკრძალავენ“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდამცავების ქმედების შეფასებისას, სქესის მიხედვით აზრები არ განსხვავდებოდა. გამოკითხულ რესპონდენტთა მოსაზრებით, საკუთარ უფლებებში გათვითცნობიერების დონე დაბალია, როგორც სამართალდამცავებში, ისე ახალგაზრდებში, რომლებიც სამართალდამცავებს აძლევენ საშუალებას გადაჭარბონ საკუთარ უფლებებზე-მოსილებას. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს, ზოგიერთ შემთხვევაში ჰქონდათ სამართალდამცავებთან ურთიერთობის გამოცდილება ჯარიმების, ადმინისტრაციული წესრიგის დარღვევების კუთხით და სამართალდამცავების საქმიანობის შეფასებას საკუთარი ან მეგობრების გამოცდილებების საფუძველზე ახდენდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში ეს შეფასება იყო ნეგატიური. უფრო კონკრეტულად, კი რესპონდენტები აღნიშავდნენ, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები

უნდობლობას იჩენენ და ყოველგვარი მიზეზის გარეშე აჩერებენ, ემუქრებიან და აყენებენ ფიზიკურ თუ სიტყვიერ შეურაცხყოფას ახალგაზრდებს.

„დამოკიდებულებებთან დაკავშირებით შემძლია ვთქვა, რომ იყო ასეთი ფაქტი, ჩემს ბიძაშვილზე მოხდა, როდესაც თავის მეგობრებთან ერთად იდგა გარეთ, სახლის წინ. უბრალოდ დაუძახეს მეგობრებმა, გამოვიდა, რაღაცა უთხრეს დ უნდა წასულიყვნენ. მოვიდა პატრული. ჩემი ბიძაშვილი ჩასვეს მანქანაში, დაემუქრნენ ცემით, რამდენჯერმე გაარტყეს კიდეც და უთხრეს, რომ ის ადამიანები მასთან აღარასდროს აღარ მისულიყვნენ. [...] ადამიანს აჩერებენ, არ ეუბნებიან თავიანთ უფლებებს, სრულიად უკანონოდ უძვრებიან ჯიბეებში და ა.შ. ძირითადად ახალგაზრდებში უფრო იყენებენ გავლენას.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი საგარეჯოდან)

„რა შემიმჩნევია, იცი? აი, პოლიციის ფორმას რომ იხდიან შემდეგ მოსდით კამათი და მერე პოლიციის ფორმით იჭერენ, "პრიჩინას" მონახავენ და იჭერენ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალციხიდან)

„მეც მქონია. მეგობრები მოვდიოდით უბრალოდ გაგვაჩერეს, ბოდიში და სავარაუდოდ კაიფში იყვნენ იმიტომ, რომ ეტყობოდათ არა ადექვატურები იყვნენ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი მარნეულიდან)

„მეგობრები ცენტრში ვიდექით უბრალოდ ვლაპარაკობდით. მოვიდნენ დაიწყეს რაღაც კითხვების დასმა და სიცილი ჩვენზე.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ხაშურიდან)

„არასწორად გააჩერეო მანქანა. არა და თვითონ აჩერებენ იქ. მე ვუთხარი ნიშანი სად არის თქო? არ არისო, გადავაყენე მანქანა. მე მიკრძალავენ თვითონ აკეთებენ იმას. მე არ ვიცი ჩემი უფლებები და რამე მოვთხოვო და რამეს ეტყვი უარეს გეტყვიან.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

„მქონდა ესეთი შემთხვევა იყო ადამიანი რომელიც ძალიან ხშირად გვიყურებდა ფანჯარაში. შიშის მომენტი გვქონდა. რა თქმა უნდა გამოვიძახეთ პატრული. მოვიდა პატრული მაგრამ გამომძიებელს ისეთი დამცინავი დამოკიდებულება იყო ჩვენს მიმართ. უნდობლობა აქვთ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი მარნეულიდან)

„აგრესიულები არიან.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

„გონიათ, რომ უპირატესი მდგომარეობა აქვთ. თუ ადამიანი იურისტი არ არის და გარკვეული არ არის ამ სფეროში, არ იცის რომ გაჩხრეკის უფლება არა აქვთ. ხშირად ისე გაუჩხრეკავთ, რომ არაფერს არ ეუბნებიან, იმიტომ, რომ არ იციან.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

„უხეშს, ძალიან უხეშს. მე ვარ მაგათი ძალიან დიდი წინააღმდეგი იმიტომ, რომ მათთან მიწევს შეხება მოდის ძალიან დიდი აგრესია როდესაც მე ყოველთვის ვუღიმი და ვცდილობ პოზიტიური ვიყო მათ მიმართ ყოველთვის. ეგეთი რაღაცეები ხდება მე მყავს 17 წლის ძმა მასთან ერთად რამდენჯერ ყოფილა გავუჩერებიათ და ყოველთვის ცდილობენ ის ახალგაზრდაა და პატარა წამოიკიდონ რამეზე, მიზეზი ჰქონდეთ რომ წაიყვანონ განყოფილებაში, შეამოწმებენ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

„ჩემი მეგობრები წაუყვანიათ კრიმინალურის თანამშრომლებს, უცემიათ, უგინებიათ უმიზეზოდ. ხელი რომ შეუბრუნო მერე ჯარიმები, ციხეშიც გაგიშვებენ...დალურჯებები რომ არ დაგრჩეს გაშლილი ხელით გირტყამენ... საქონლები არიან.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპოდენტები, რომლებიც სამართალდამცავთა საქმიანობის ნეგატიურად აფასებენ, აღნიშნავენ, რომ ხშირად ახალგაზრდები პოლიციაში საქმედიან იმ მიზეზით, რომ სხვა სამსახური და გამოსავალი არ აქვთ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ძალიან მცირე ნაწილი საუბრობდა იმაზე, რომ პოლიციელები კანონს არ ცდებიან, მათ ესმით სამართალდამცავების პოზიცია და მათ დატვირთული რეჟიმის და საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება გაუგონ. უხეშობას მათი მხირდან, მათი სამუშაოს გრაფიკი და სირთულე იწვევს.

„ჩემი აზრით წინა წლებთან შედარებით დღეს იმდენად კანონის უზენაესობაზე საუბრობს მთელი სოციალური ქსელი და საქართველო, რომ უფრო ლმობიერია მათი დამოკიდებულება თითოეული მოქალაქის მიმართ და კანონს არ ცდებიან. კანონში როგორც არის ანუ კანონს არ ცდება.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

„ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვთ ძალიან ყურადღებით მომიდგნენ. ძალიან გულმოდგინედ, თავაზიანად იყვნენ. მაგრამ შეიძლება იმიტომ, რომ ნაცნობი იყვნენ. მაგრამ მე ვიცი აგრესიულები არიან. ამ სტრუქტურაში რომ მუშაობ განათლება უნდა გქონდეს. ადამიანის ფსიქოლოგიას უნდა იცნობდე ძალიან კარგად. მერე რა შეიძლება კოვზი დავკარგე მომპარეს სახლიდან ესეც ხომ დანაშაულია ცინიზმით არ უნდა მომიდგე.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ხაშურიდან)

„ჩემთვის სამართალდამცავები პატივსაცემები არიან ბევრი მიზეზის გამო. და მათი ასეთ დამოკიდებულება აქვთ იმიტომ რომ მილიონ ისეთ ადამიანთან უწევთ ურთიერთობა შეუძლებელია არ შეიცვალო.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ხაშურიდან)

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ახალგაზრდები ასევე აღნიშნავენ, რომ პოლიცია არის უწყება, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგს და მათი როლი სახელმწიფოში მნიშვნელოვანია. თუმცა, აქვე აღნიშნავენ, რომ საზოგადოება გაყოფილია ორ ნაწილად და მათი ოჯახის წევრებს შორისაც არიან ადამიანები, რომელთაც ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ სამართალდამცავების მიმართ.

„სამართალდამცავები ცუდად იქცევიან ვიცი, მაგრამ თვითონ მოსახლეობის დამოკიდებულება? არის მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ვერ იტანს სამართალდამცავებს გინებებიც ყოფილა. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, ზურგის გამო გასდით. მაგრამ ადამიანები, რომლებიც არაფერს აშავებენ, არ აქვთ ზურგი და ა.შ. პოლიციელები ყველაფერს აკეთებენ რომ ის საქმეები რომლებიც არ არის გახსნილი დაბრალდეს ამ ხალხს. ამის მიზეზი ჩემი აზრით არის ის, რომ ადამიანებმა არ იციან თავისი უფლებები. ყოფილა შემთხვევები ქუჩაში გავუჩერებიათ. გავუჩხრეკიათ, ვინც იცის თავის უფლებები იცის, რომ გაჩხრეკის უფლება არ აქვთ. ადამიანი, რომელიც ხედავს სამართალდამცავს, რომელიც თვითონ არღვევს იმას, რასაც უნდა იცავდეს, ეშინია რომ მიმართოს ვინმეს რათა ეს აღმოფხვრას.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თეთრიწყაროდან)

პოლიციისადმი ხშირშემთხვევაში ნეგატიური დამოკიდებულებისდა მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში, ქუჩაში გადაადგილებისას ახალგაზრდების თავს დაცულად გრძნობენ.

კითხვაზე, ფლობენ თუ არა ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ინფორმაციას საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ და გააჩნიათ თუ არა რაიმე სახის ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციებსა და მოვალეობებზე, რესპონდენტთა უმრავლესობას უარყოფითი პასუხი ჰქონდა. კვლევის მონაწილე ახალგაზრდების თქმით, მათ არ აქვთ ინფორმაცია საკუთარ უფლებებზე, რაც პოლიციას აძლევს საშუალებას გაადაჭარბოს საკუთარ უფლებამოსილებას. ახალგაზრდების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში მიმართავს იურისტ მეგობრებს, ხოლო დისკუსიის ის მონაწილეები, რომლებიც გარკვეულწილად ერკვევიან საკუთარ უფლებებში და პოლიციის მოვალეობებზეც გააჩნიათ ცოდნა, აღნიშნავენ რომ აღნიშნული ტიპის ინფორმაცია არაფორამლური განათლების საშუალებით მიიღეს, ან უბრალოდ ინტერესის გამო მოიძიეს ინტერნეტ სივრცეში.

„საჭიროდ მიმაჩნია, უნდა იცოდეს ადამიანმა თავისი უფლებები, მაგრამ მე არ დავინტერესებულვარ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალციციდან)

„კიდევ ცუდი მომენტი ის არის სკოლებში, რომ ერთი არ ასწავლიან, მეორე ჩემს დროს არჩევით იყო და თავისით უსვამდნენ ბავშვებს. ყოველმა მეორე მეთორმეტე კლასელმა არ იცოდა.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

„რომ არ იციან თავიანთი უფლებების შესახებ იმიტოა ასეთი დამოკიდებულება, სამართალდამცავებმა უმრავლეს შემთხვევაში იციან, სამართალდამცავები უფრო გათვნიცნობიერებული არიან.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი წნორიდან)

„ახალგაზრდებმა თავისი უფლებების შესახებ რომ არ იციან ამას პოლიცია იყენებს თავის სასარგებლოდ“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი წნორიდან)

„ჩემი ვცდილობ რომ მოვიძიო რაღაცა იმიტომ რომ ვთვლი აუცილებელია თითოეულმა მოქალაქემ იცოდეს საკუთარი უფლებების შესახებ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

„ჩემს აზრს ვიტყვი. თუ ადამიანი კონკრეტული ფაქტის წინაშე არ ხარ, არ ინტერესდები შენი უფლებებით და არც სხვისი უფლებებით. მაგრამ როცა საქმე პირადად შენ გეხება უკვე იძულებული ხდები შეისწავლო შენი უფლებები და ჩვენს ქვეყანაში ხშირად ხდება რომ სამართალდამცავები ამეტებენ თავიანთ უფლებებს და ამას ისე აკეთებენ, რომ საზოგადოება ამას ვერც კი ხედავს. მიზეზი არის ის, რომ საზოგადოება არ არის მზად.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალციხიდან)

მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მათ არ აქვთ ცოდნა საკუთარი უფლებების შესახებ, თუმცა რომც ქონდეთ ეს ვერ დაეხმარება მათ თავისდაცვაში, რადგან ამისთვის აუცილებელია იყვნენ გავლენიანი ადამიანების მფარველობის ქვეშ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები, სამართალდამცავებსა და ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის დარეგულირების საშუალებად, განათლების დონის ამაღლებას მიიჩნევენ. როგორც ახალგაზრდები, ასევე პოლიციელები უნდა იყვნენ გათვითცნობიერებულნი საკუთარ

უფლებებსა და მოვალეობებში, რათა თავიდან იქნას აცილებული პოლიციელთა მხრიდან ახალგაზრდების პროვოცირება.

4.6 სასამართლო

იმის გასაგებად, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს ახალგაზრდებში სასამართლო სისტემის მიმართ, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს ვთხოვეთ გაეზიარებინათ თავიანთი ასოციაციები და წარმოდგენები სასამართლოსთან დაკავშირებით. რესპონდენტები ღიად საუბრობენ აღნიშნულ საკითხზე და გულწრფელად გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებებს. გამოთქმული მოსაზრებები კი, შეიძლება ითქვას, რომ ცხადყოფს ახალგაზრდების უნდობლობას სასამართლოსადმი. რესპონდენტებს საკუთარი ან თავიანთი ახლობლების მაგალითები მოჰყავთ სასამართლოს არაობიექტურობის და არაეფექტურობის დასადასტურებლად. თუმცა, კვლევის მონაწილეთა მცირე ნაწილი დადებითად არის განწყობილი სასამართლო სისტემის მიმართ და მათთვის ეს ინსტიტუტი სამართლიანობასთან ასოცირდება.

„ზოგადად, მოსამართლეს გააჩნია. ბიძაჩემი პროკურორია და ხშირად დავსწრებივარ პროცესს. ყოფილა შემთხვევა, რომ საერთოდ არაადეკვატური განაჩენი გამოუტანიათ, მაგრამ, ასევე ყოფილა შემთხვევა, რომ ზუსტი განაჩენი გამოუტანიათ. ხშირია შემთხვევა, რომ მოსამართლე მოსყიდულია ან მოსამართლის ნათესავია.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი საგარეჯოდან)

„მე სამართალზე ვსწავლობ და ყოველთვის, როცა სასამართლო მესმოდა წამომედგინა ზე სამართლიანი ადამიანები, ვინც თვითონ არ აღვევს და აქვს უფლება სხვისი ცხოვრება განსაჯოს, მაგრამ როცა პირველად ვიყავი სისხლის სამართლის პროცესზე მსჯავრდებულები როგორ მიმართავდნენ სასამართლოს და პროკურორი ადვოკატს ეფლირტავებოდა რა გითხრათ, ძალიან ცუდი დამოკიდებულება მაქვს.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თეთრიწყაროდან)

„სასამართლო რომ არ იყოს, შეიძლება ვაბზე მართალი ხარ, მაგრამ პირდაპირ ციხეში გაგიშვან.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ყაზბეგიდან)

„დადებითი, სადაც შემიძლია ჩემი უფლებები საბოლოოდ დავიცვა ბოლომდე.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

საინტერესოა ასევე ახალგაზრდების დამოკიდებულება სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. რესპონდენტთა დიდი ნაწილი ექვევებში აყენებს სასამართლოს მიუკერძოებლობის საკითხს. ისინი გამოყოფენ ორ შემთხვევას: პირველი, როდესაც წვრილმან საქმეებზეა საუბარი და რომელშიც სასამართლოს დაინტერესება ნაკლებია, და მეორე, როდესაც სახელმწიფოს დონის განმაურებული საქმეები განიხილება. პირველ შემთხვევაში სასამართლოს მიუკერძოებლობის შანსი ნაკლებია, ხოლო მეორე შემთხვევაში რესპონდენტები დარწმუნებულნი არიან სასამართლოს არაობიექტურობაში, დაინტერესებული პირების გავლენიდან გამომდინარე. რესპონდენტთა მცირე ნაწილი კი

მიიჩნევს, რომ დღევანდელი სასამართლო მიუკერძოებელია, ვინაიდან პროცესები გამჭვირვალედ მიმდინარეობს და სასამართლოს საქმიანობა საერთაშორისო რეგულაციებით კონტროლდება.

„ძალიან მარტივ საქმეებზე მიკერძოებულ გადაწყვეტილებებს არ იღებს სასამართლო, მაგრამ როცა ისეთ საქმეებს იხილავს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ეხება, მაშინ იმდენად დიდია ზეწოლა სასამართლოზე, რომ უსაშინლეს არასამართლიანობას აქვს ადგილი.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალციხიდან)

„ჩემი აზრით, ჩვეულებრივ ადამიანებზე ობიექტურია, დანარჩენი როგორც ხდება, ქართული სასამართლოა რა. გავლენა მაინც არის. შეიძლება ვცდები, მაგრამ მგონია რომ რაღაც კავშირი მაინც არსებობს მანდ, ნუ მაღალი დონის იმეებზე მაქვს ლაპარაკი, არაჩვეულებრივ მოკვდავებზე, რა.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ყაზბეგიდან)

„მეც ვეთანხმები პრინციპში. ძირითად შემთხვევებში სამართლიანია და ვიცი, რომ ბევრი რაღაც კეთდება დავუშვავთ მოსამართლეების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ცოდნა აქვთ და იციან რას აკეთებენ, მაგრამ, არის ასეთი გამორჩეული შემთხვევები, როდესაც ეჭვი იმის, რომ მთლად ობიექტურები არ არიან ჩნდება. ამ ეჭვს იწვევს თუნდაც დაინტერესებული მხარეების წონა ან ფული, იმიტომ, რომ შეიძლება დიდი ბიზნესი იყოს ჩართული, იგივე შეიძლება სახელმწიფო იყოს ჩართული. არის შემთხვევები, ალბათ, როცა მოსამართლე ვიღაცის ახლობელია და ესეც რაღაც დონეზე ახდენს გავლენას.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ყაზბეგიდან)

„ჩემი აზრით უკვე იმ დონეზე არის სასამართლო, რომ ესე უბრალოდ უსამართლო ვეღარ იქნება, იმიტომ, რომ მსოფლიოს ვაკონტროლებინებთ ჩვენს თავს. ყველას ვაძლევთ უფლებას, რომ გვაკონტროლონ, იმისთვის, რომ სადღაც შევეტენოთ. არ მოგცემენ ამის უფლებას.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ყაზბეგიდან)

რესპონდენტებს, რომლებიც თვლიან, რომ სასამართლო არ არის ობიექტური ვთხოვეთ გამოეთქვათ მოსაზრება იმის შესახებ, თუ ვის მიერ შეიძლება იყოს მართული სასამართლო და ვინ ახდენს გავლენას მართლმსაჯულების პროცესზე. მათი ვარაუდით სასამართლო პოლიტიკოსების, მაღალჩინოსნებისა თუ სხვა გავლენიანი პირების მიერ იმართება. რესპონდენტები იმაზეც მიუთითებენ, რომ ხშირად სასამართლო გამოხატავს ხელისუფლების ინტერესებს და არა საზოგადოების.

„არსებობენ ადამიანები, რომელსაც აქვს იმოდენა წვდომა და სულ ფეხებზე კიდია ამერიკის თუ ევროპის სასამართლო და თვითონ საქართველოში თავის პალაქენიას მაინც მოიყვანს.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ყაზბეგიდან)

„ცოტა ისეთი "ფოე-ფოე" ხალხია. ისეთი ადამიანები, ვისაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, გავლენიანი ადამიანები.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალციხიდან)

„სასამართლო იმას იძახი რასაც მთავრობა იძახის. როგორც რუსთავი 2 ზე იყოს. მთავრობა იძახის და სასამართლო აკეთებს.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი მარნეულიდან)

„მოუკერძოებელი უნდა იყოს. დღევანდელი სასამართლო სახელმწიფოზე დამოკიდებული.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი საგარეჯოდან)

ახალგაზრდები თანხმდებიან, რომ სასამართლო უნდა იყოს მოუკერძოებელი, დამოუკიდებელი, არაპოლიტიზირებული და სამართლიანი, თუმცა, იდეალური სასამართლო სისტემის შექმნის გზები განსხვავებულად ესახებათ: რესპონდენტთა ნაწილი რადიკალური პესიმიზმით გამოირჩევა და თვლის, რომ ვერანაირი მცდელობა ვერ აღმოფხვრის სასამართლოსთან დაკავშირებულ უწესრიგობას ქვეყანაში. მეორე ნაწილისთვის კი გამოსავალი კადრების გადამზადებაში, ევროპული მოსამართლეების ინსტიტუტის შემოღებასა და კონტროლის მექანიზმის გამკაცრებაშია:

„სასამართლო უნდა იყოს ისეთი სისტემა ისეთ ადგილი სადაც ნებისემრ ადამიანს ექნება განცდა, რომ იპოვის სამართალს. და მე აქ არ მაქვს ეს განცდა.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

„აზრზე არა ვარ რა უნდა გაკეთდეს, იმიტომ, რომ ის ადამიანები, ვინც სასამართლოზე ახდენენ გავლენას, ისინი არიან.. წონა აქვთ რა, სულ ყველაზე მეტნი არიან ძალით და სულ ყველაფრით. მაგათ ვერაფერს ვერ გაუჩალიჩებ, მაშინ უნდა წახვიდე და სხვა სასამართლოებში უჩივლო. დარწმუნებული არც იმაში არა ვარ, რომ ეს ევროპული სასამართლო, შეიძლება არა ვარ იმ დონეზე განათლებული, რომ ვიცოდე, რომ მართლა როგორც აცხადებენ ეგეთი მაგარია. შეიძლება იქაც ეგეთი რაღაც ხდებოდეს.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ყაზბეგიდან)

„რავიცი, არამგონია, რომ შეიცვალოს საერთოდ, იმიტომ, რომ კაცისთვის საშინაუროს ვერ დალევ და ბიზნესმენისთვის – ფულს.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ყაზბეგიდან)

„ევროპული მოსამართლეების ინსტიტუტის შემოღება გაწმენდს ჩემი აზრით ამ ლაქას. კიდევ კვალიფიციური კადრის შემოყვანა სისტემაში.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს იმ ახალგაზრდებმაც, რომლებსაც სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება ჰქონდათ. კვლევის შედეგების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ ეს ადამიანები გაცილებით სკეპტიკურად არიან განწყობილი სასამართლოს სისტემის მიმართ, ვიდრე დანარჩენი რესპონდენტები:

„როგორ გითხრათ ანუ მიკარძოებულია. მეც მაგალითად რომ დამიჭრეს მიკერძოებული იყო“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

„მიკერძობულია. ყოველთვის ერევა ზემო ძალები.სამართლიანობის აღდგენა ასეთ ჩემი პირადი გამოდილებით არ არსებობს. ერევა ხელისუფლება, ნაცობები მეგობრები.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

საბოლოო ჯამში, კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები ცხადად ასახავს ახალგაზრდების სკეპტიკურ დამოკიდებულებას სასამართლო სისტემის მიმართ. მათი სასამართლოსადმი უნდობლობა, ძირითად შემთხვევაში, მათი ან მათი ახლობლების გამოცდილებაზეა დაფუძნებული, ან მედია საშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა. ახალგაზრდები აგრეთვე საუბრობენ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს იდეალური სასამართლო სისტემა და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მათი უარყოფითი დამოკიდებულება დღევანდელი სასამართლოსადმი დადებითი შეიცვალოს. ძირითადად, ახალგაზრდები გამოსავალს სისტემის სრულ რეორგანიზაციაში და კონტროლის გამკაცრებაში ხედავენ, თუმცა, არიან ისეთებიც, ვისთვისაც იდეალური სასამართლოს არსებობა საქართველოში უტოპიურად ჟღერს.

4.7 ახალგაზრდების პრობლემები

თვისებრივი კვლევის პროცესში გამოიკვეთა, თუ რა საკითხებია ყველაზე მნიშვნელოვანი, რა პრობლემები აწუხებთ ახალგაზრდებს და რისი გამოსწორება სურთ თავიანთ რეგიონში/თემში. ასევე, თვალსაჩინო გახდა ის გამოწვევები, რის წინაშეც ახალგაზრდები დგანან. კვლევამ მოიცვა ისეთი საკითხები, როგორცაა: დასაქმება, განათლება, იდენტობა, ცხოვრების სტილი, ეკოლოგია და სხვა მომიჯნავე საკითხები.

შეკითხვაზე, თუ რა პრობლემები აწუხებთ ახალგაზრდებს, რეგიონში ყველაზე მეტად ახალგაზრდების უმრავლესობამ უმუშევრობა დაასახელა. ისინი სამუშაო ადგილების ნაკლებობას ყველა სხვა არსებული პრობლემების საფუძვლად მიიჩნევენ.

„დასაქმების პრობლემა არის ყველაზე დიდი პრობლემა. დასაქმება ქმინის მატერიალურ უზრუნველყოფას რის შემდგომაც შესაძლებელია მშვიდად სწავლა. წიგნის კითხვა. ყველაზე დიდი პრობლემა ესაა.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

„გართობის არქონა პირდაპირ კავშირშია უმუშევრობასთან. რო იქნება ისეთი ხალხი, რომელიც იქნება დასაქმებული, იმ ფულს შემდეგ დახარჯავს გართობაში. უმუშევრობაა საფუძველი მაგის.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალციხიდან)

გარდა დასაქმების პრობლემისა, ახალგაზრდები ასევე საუბრობენ რეგიონებში გასართობ-სარეკრეაციო ადგილების არარსებობაზე. ფოკუს ჯგუფების მონაწილე ახალგაზრდები უკმაყოფილებას გამოთქვავენ იმ ფაქტის გამო, რომ რეგიონებში არ არის საკმარისი რაოდენობის კაფეები, პარკები, კინო-თეატრები და სხვა ადგილები, სადაც ახალგაზრდები გაერთობიან და პროდუქტიულად გაატარებენ თავისუფალ დროს.

„თუ ჩვენი ასაკის ბავშვებში განვიხილავთ, მაგალითად არ არის გასართობი ადგილი სადაც თავისუფალ დროს გავატარებთ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალქალაქიდან)

„გასართობები ადგილები, არ არსებობს სივრცე სადაც შეიძლება მოახდინო საკუთარი თავის რეალიზება.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ხაშურიდან)

როგორც აღმოჩნდა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს რეგიონებში არსებული ინფორმაციული ვაკუუმი. ვაკანსიებისა თუ სხვადასხვა ახალგაზრდული აქტივობების შესახებ ინფორმაცია არ არის თანაბრად ხელმისაწვდომი ყველასათვის. გარდა ამისა, როგორც რესპონდენტები ამბობენ, დაინტერესებაც ნაკლებია ახალგაზრდების მხრიდან გამოიყენონ ის მცირედი რესურსი, რაც მოეპოვებათ. რესპონდენტთა ნაწილი ამას მოტივაციის ნაკლებობით ხსნის, ნაწილი უპერსპექტივობით, ნაწილი კი ოჯახის და გარემოს ზეგავლენას ასახელებს მიზეზად, რასაც საბოლოოდ თვითრეალიზაციის პრობლემამდე მივყავართ.

„მე ვიტყვოდი, რომ ახალგაზრდებში ჩვენთან მოტივაციის ნაკლებობაა და თვითრეალიზაციის პრობლემაა ... პერსპექტივას ვერ ხედავენ ახალგაზრდები. მაინც არაფერი გამოვა... მისწრაფება არა აქვთ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი საგარეჯოდან)

„კიდევ არის ალბათ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა ... რესურსები არ არის საკმარისი აქ. არანაირი რესურსი, არანაირი გამოცდილი კადრი, არანაირი სურვილი, არანაირი მოტივაცია ... ძალიან ბევრი ნიჭიერი ბავშვია, რომელიც სახლშია ჩაკეტილი და არა აქვს იმის საშუალება, თუნდაც ფინანსური, თუნდაც რესურსი, რომ გავიდეს და რათაც გააკეთოს. არა მარტო ეგ, ბევრს სურვილსაც უხშობენ მშობლები, გარემო.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალციხიდან)

აღსანიშნავია ახალქალაქის რაიონი, სადაც რესპონდენტები მთავარ პრობლემად ენობრივ ბარიერს ასახელებენ. ენობრივი ბარიერის არსებობა ართულებს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის საქართველოს მოქალაქეების სოციალიზაციას, გარემოში.

„ერთმანეთთან კომუნიკაცია არ აქვთ და ვერ სწავლობენ, სომხები ცალკე არიან სიტყვაზე, და ქართველები ცალკე,“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალქალაქიდან)

„ქართველებმა სომხური იციან, მაგრამ სომხებმა ქართული არა, აქ ძირითადი სომხები არიან, კომუნიკაცია სომხურადაა“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალქალაქიდან)

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ქალთა სოციალიზაცია გარემოში და მათი ნაკლები ჩართულობა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. ამის მიზეზად ახალგაზრდები რეგიონებში გავრცელებულ სტერეოტიპულ წარმოდგენებს ასახელებენ. ეს სტერეოტიპები მოდის საზოგადოებიდან და ოჯახიდან. ახალგაზრდების დიდი ნაწილი არ იზიარებს მათ, თუმცა სოციალური სასურველობის ეფექტის მისაღწევად იძულებულნი არიან დაემორჩილონ მათ გარემოში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს და სხვადასხვა გზებით გაამართლონ თავიანთი ქცევები:

„ივენტზე, რომელსაც აკეთებდნენ ბიჭები, შესაძლოა არ წავიდნენ გოგოები, იმის გამო, რომ სტერეოტიპული დამოკიდებულება არსებობს ოჯახიდან, ტრადიციებიდან გამომდინარე.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალციხიდან)

„თვითონ საზოგადოებიდან მოდის ეს სტერეოტიპული დამოკიდებულება. ახალგაზრდების ნაწილი მიდის და ერთობა, მაგრამ ვინც ვერ ახერხებს ვთქვათ მშობლების გამო ოჯახის გამო, ისინი მერე ამბობენ, აი მე რო არ ვიყავი წესიერი ვარ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალციხიდან)

კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონებში მწვავედ დგას შიდამიგრაციის პრობლემა. ახალგაზრდები ტოვებენ სოფლებს, მუნიციპალიტეტის ცენტრებს და საცხოვრებლად დიდ ქალაქებში გადადიან. მიგრაციის ძირითად მაპროვოცირებელ ფაქტორად რესპონდენტები რეგიონებში შექმნილ მძიმე პირობებს და უმუშევრობას, აგრეთვე თვითრეალიზების შესაძლებლობის დაბალ მაჩვენებლებს მიიჩნევენ. რესპონდენტთა უმრავლესობა არ გამორიცხავს, რომ თავადაც დატოვებენ რეგიონს, იმ შემთხვევაში, თუ სასურველ სამსახურს ვერ იშოვიან:

„განვითარების მეტი საშუალება აქვთ ქალაქებში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

„მე თუ არ მექნება სამუშაო აქ, გინდა არ გინდა წავალ სხვაგან, იქ გადავალ, სადაც იქნება სამუშაო.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალქალაქიდან)

ჩვენ დავინტერესდით, თუ რას თვლიან ახალგაზრდები მათ მიერ დასახელებული პრობლემების გამომწვევ ფაქტორებად. რესპონდენტები სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილავენ საკითხს. ნაწილი თვლის, რომ ამ პრობლემების მოგვარება სახელმწიფოს პრეროგატივაა, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საზოგადოებრივ პრობლემებზე. რესპონდენტთა ნაწილი კი საზოგადოების მზაობას მიიჩნევს მთავარ ფაქტორად. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ თუ საზოგადოება არ იქნება მზად ცვლილებებისთვის, მხოლოდ ხელისუფლების ძალისხმევა არ იქნება საკმარისი.

„მთავარი პრობლემა ის არის რომ სახელმწიფო არის თვალდახუჭული ამ შემთხვევაში.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალქალაქიდან)

„ხელისუფლება რომ აკეთებს რაღაცას ხალხმაც უნდა შეუწყოს ხელი. აზრი არა აქვს რაც არ უნდა გააკეთოს, ჩვენ თუ გავანადგურებთ.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

ფოკუს ჯგუფების მონაწილე ახალგაზრდებმა, ბევრი იმსჯელეს იმის შესახებ, თუ რა სახის ხელშეწყობას ისურვებდნენ თავიანთ რეგიონებში. ნაწილისთვის პრიორიტეტი დასაქმებაა. ისინი თვლიან, რომ სამუშაო ადგილების, სტაჟირებისა და გადამზადების პროგრამების არსებობა შეუწყობს ხელს ახალგაზრდების თვითრეალიზაციას და ბევრ მათგანს, საარსებო მინიმუმს გაუჩენს. ნაწილი თვლის, რომ გასართობი საშუალებების არსებობაა პრიორიტეტული. რეგიონებში სასურველია იყოს კინო, თეატრი, ლიტერატურული კაფეები, ტრენინგ-ცენტრები და ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სპორტის განვითარებას.

ამ გზით ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცემათ დაკავდნენ სასურველი საქმით, პროდუქტიულად გაატარონ თავისუფალი დრო. ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ ალტერნატივა, რომ უსაქმურად არ იდგნენ ქუჩაში და ერთფეროვან ცხოვრების სტილს გადაუხვიონ:

„ჩემი აზრით, ჩემთვის იქნება ყველაზე კარგი ხელშემწყობი პირობა სტაჟირება, გადამზადება და ასეთი რაღაცეები.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ახალციხიდან)

„ჩემი აზრით ბირჟაზე არ იდგება და უარყოფითი ქცევებით არ დასაქმდება ადამიანი, თუ იქნება მაგალითად კინო, ელემენტარული.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი საგარეჯოდან)

„დასაქმება და სპორტი არის ძირითადი მიზეზები, არც გასართობი არის. ზამთარში გამოდიხარ ქუჩაში და შედიხარ სახლში, სხვა არაფერი არ არის.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი ყაზბეგიდან)

ახალგაზრდები ასევე შეეხნენ განათლების პრობლემას. ისინი უკმაყოფილონი არიან დღეს არსებული განათლების სისტემით და თვლიან, რომ საჭიროა სისტემის სრული რეორგანიზაცია. პირველ რიგში სასკოლო განათლების პროგრამა, რომელიც არ არის ახალგაზრდებზე მორგებული და მოსწავლეების დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებაზე ორიენტირებული. ახალგაზრდები ასევე საუბრობენ უმაღლეს სასწავლებლებზე. ისინი დიდი რაოდენობით უმაღლესი სასწავლებლების არსებობის საჭიროებას ვერ ხედავენ და ამის ნაცვლად პროფესიული სასწავლებლების არსებობას და განვითარებას ანიჭებენ უპირატესობას:

„პირველ რიგში აუცილებელია ადგილზე გაკეთდეს ერთი ნორმალური პროფესიული სასწავლებელი, სადაც მართლა სწავლა მოუწოდებთ და იმიტო ჩააბარებენ და არა დიპლომის გამო. დასაქმებაც იქნება, განათლების დონეც მოიმატებს. დაინტერესებაც იქნება, ყველა ბიზნესმენი და ადვოკატი ვერ იქნება. ყველა ადამიანს სხვადასხვა შესაძლებლობები აქვს.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი გორიდან)

„განათლების მიღება, რა თქმა უნდა, არის ნებაყოფლობითი, მაგრამ, სკოლა უნდა იყოს ისეთი ადგილი, თუ დადიხარ უნდა ისწავლო. მე ვფიქრობ რომ ის სისტემა რაც სკოლებში არის რომ პროგრამა აქვს და იმ პროგრამით უნდა ისწავლოს და იმ კუთხით განვითარდეს და ახვევენ თავს იმ იდეას რაც იმ პროგრამაშია ეს არის არასწორია.“ (17-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, რესპონდენტი თბილისიდან)

საბოლოო ჯამში, კვლევის შედეგად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიღეთ რეგიონებში არსებული ახალგაზრდული პრობლემების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ ეს საკითხი რეგიონებში მცხოვრები ყველა ახალგაზრდისთვის სენსიტიურია, ისინი გულწრფელად საუბრობენ იმ დაბრკოლებებზე, რასაც ყოველდღიურად აწყდებიან.

კვლევაზე მუშაობდნენ სოციოლოგები:

მარიამ მორგოშია

ნინო გოგაძე

ნანო ქარდავა

„კავკასიის ახალგაზრდული კავშირი“ მაღლობას უხდის ყველა პარტნიორ ორგანიზაციას და სოციოლოგების გუნდს გაწეული დახმარებისთვის.

პროექტი „ახალგაზრდული რეფლექსი“ ხორციელდება ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერით.